№ 39 21 აპრილს, ოთხშაბათი 1866—1876 21 აპრილს, ოთხშაბათი № 39

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ბიბლიოთეკა

საქართველო

უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე.

—

უფ. ნიკოლაძემ დაბეჭდა „დროებაში“ სტატია, რომელსაც ჰქვიან „ქუთაისის ბანკის საქმე.“ თუმცა უფ. ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილის ნიჭიერებისა დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ არც მე მიეცემ ჩემს თავს ნებას და არც თვით უფ. ნიკოლაძეს მომთხოვს, რომ ამ პატივისცემას პირუთვნელობა მსხვერპლად მოეუტანო. საგანი, რომელსაც შეეხება იგი სტატია, ისეთის დიდის მნიშვნელობისა არის, რომ მაზედ მრუდე და უსაფუძვლო აზრების გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში დიდს ვნებას მოუტანს ჩვენს საზოგადო საქმესა. უნდა ეღვიაროო, რომ იგი სტატია ამ საგანზედ იმისთანა აზრებს ჰქადაგებს, რომელნიც არა მგონია დამჯდარის გონებით იყვნენ მოსაზრებულნი და რომელთაც საქმის წახდენა შეუძლიან არამც თუ ქუთაისის, არამედ ტფილისის გუბერნიაშიაც. ამისგამო მე ჩემს უწმინდესს ვალად ვრაცხ, პირდაპირ აღვუდგე იმ სტატიასა. მით უფრო დიდის გაბედვით ეკისრულობ ამას, რომ მე კარგათ ვიცნობ უფ. ნიკოლაძეს. თვით იგი მიმიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე ღმერთ იმავ ჭეშმარიტების სიყვარულმა და სიკეთის სურვილმა, რომლითაც შეიარაღებული თვით უფ. ნიკოლაძე ეგრე ნიჭიერად იბრძვის ხოლმე.

უფ. ნიკოლაძე თავისის სტატიის დასაწყისში ამბობს და მართლადაც ამბობს, რომ ვისაც ბანკის დაარსება უნდა იმან ჯერ უნდა შეიტყოსო: „რა ნაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკის გახსნა უნდაო, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია იმ მხარეში და რომელი წესი ყველაზედ უფრო სრულად დააკმაყოფილებს ამ საჭიროებასაო.“

უფ. ნიკოლაძეს, რომ აქ გამოთქმული აზრი თვით ეწამა და ეგ აზრი ეხმარა ქუთაისის ბანკის წესდების საზომად, მაშინ თვით დაინახავდა, რომ იმ წესდების შემადგენელს მაგ აზრისათვის არც ერთის სიტყვით არ ულალატნია. ვიდრე ჩვენ ამას დავამტკიცებდეთ საჭიროა აეხსნათ, რა არის კრედიტი.

ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან ასე, რომ ერთი მეორეს ფულს *) ასესხებს. მაგ გვარი გარიგება მოხდება მაშინ, როცა გამრიგებელთ შორის ნდობაა. აი მაგ ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე—ჰქვიან კრედიტი.

(ეკონომიური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ ღონეთ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. მგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიური მიზანია კრედიტისა და მეორეს მხრით მხოლოობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა.

რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვა-და-სხვა გვარია, ამის გამო სხვა-და-სხვა გვარი კრედიტიც არის.

კრედიტი, რომელიც მიწის-მოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწის-სამოქმედო (земельный) კრედიტსა. მიწის-სამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწის-მოქმედებისა, ესე იგი, იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვა გვარის კრედიტისაგან იმ ნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ. ბამოვიკვლიოთ ეგ ბუნება.

მიწის-მოქმედებაზედ შეიძლება მიქცეულ იქმნას შემწეობა კრედიტისა ორ ნაირის აზრით: ანუ იმისათვის, რომ კაცმა მალე და ერთბაშად მოიგოს რამე, ანუ იმისათვის რომ თანდა თან, გაუწყვეტლივ, ზედ-მიყოლებით და მკიდრად ისე გააძლიეროს, წარმართოს, გააუმჯობესოს მიწის-მოქმედება, რომ ხანგრძლივად, გაუწყვეტლად და თან-და-თან მოგება მატულობდეს და არ დაშრეს. ცხადია რომ პირველ შემთხვევაში მიწის-მოქმედება ქვეყანას არ ააყვავებს, იმიტომ-რომ იქ ყოველივე დროებითა სათუო და საეჭვოა. მეორე შემთხვევაში კი ქვეყნის წარმატება უეჭველია და მტკიცე.

მაგრამ მიწის-მოქმედება იმისთანა ეკონომიური წარმოებაა, რომლისაც მკვიდრი და სამუდამო გაუმჯობესობა ხანგრძლივს დროს ითხოვს. ამ გვარის წარმოების მსვლელობა თავიდამ შესრულებამდე დიდის დროის განმავლობაში მოხდება. არა კაცის ღონეს და მოხერხებას არ შეუძლიან ამ წარმოებას ფეხი აუჩქაროს, იმიტომ—რომ აქ ყოველივე დამოკიდებულია იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მიწის-მოქმედების ქვემდებარე თანამავალნი არიან და რომელთ თვისების შეცვლა კაცთაგან შეუძლებელია. მაგალითებრ, ხეს ვერ გაზდი იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს.

ამასთანავე ესეც უნდა ეჭსთქვათ, რომ ფული ჩაყრილი მიწის-მოქმედების გასაძლიერებლად ისე შეუხორცდება ხოლმე მიწასა, რომ მი-

*) აზრის ადგილად გაგების თვის სიტყვა „ფულსა“ ვხმარობ და არა „თავნსა“ (Капиталъ).

ფელეტონი

სცენები ტყეში

—

(ღამეა, მთვარე ანათებს და გვერდ ღელისა წამოწოლილან მწყესები ტყეში. ღელეს ჩხრიალი გააქვს. იამის საქონლის ნაკოხრობა და ბულბულის გაუწყნარებელი სტვენა).

ხლახუნა. (ბურული) შავარდენა, ა შავარდენა?

შავარდენა. (იმერელი) შავარდენა და გადავარდენა შენ გაბრუებულ თავს!... რა ჯანაბა გინდა, გურულო, ძინს არ მაღირსებ?!

ხლახუნა. რა გაფხუკიანებს ბიჭო!... ვაი შენ გუნებას, თუ არ გამიგონებ, კაი ანბავი მინდოდა მეთქვა და თუ არ გინდა მომჭამე ჭირი!

შავარდენა. ჭირიც მომჭამედ სენიც!... შე რო დაცხრეკილი ხარ, შენი ჭირი რაღა იქნება!

ხლახუნა. არ მოგეწონება, დიახ, ფშუტურა ბიძა შენს არ შემადარო! უჩარდია. (მეგრელი) ა—ა უუუ! (აზმორებს და წამოჯდება) არიქა ბურულო ჰო!.. სის მაგას, უჩხუტურე ჰო, მაგის ბრალია პარტენი ყოლის ფერი, მაგან მოკლა მამა შენი და ბებია შენს კბილები ჩააყრევია!

ხლახუნა. შენი კიდო, რა მეცოდინება შე ქაჩლიანო მეგრელო. შენისანა თხა პარია ათასი შემიკოჭამს!

უჩარდია. ეი პარტენი, შენი თავი და თმა ჯობია, ზარაზანის (ზარბაზნის) გამოსაჩოთქანს (გამოსაჩოთქავს) მიგიგანს დუდი.

შავარდენა. ახლა მაგას ეტაკე ჰო!

ხლახუნა. (წამოწვება ისევ) თქვენ რო გელაპარაკო რა ერბოვს გამოვიტან, თქვენისანა ვიქნები და იგია ე!

შავარდენა. ხლახუნა, ა ხლახუნა! ეაი ახლა, ნუ გაწყრები, თქვი ი ანბავი, შენ რო აპირებდი!

ხლახუნა. რა ყველის ვაჭარივით ჩამაციედი, იმერელო, არა სჯობია ამ ბულბულის ფსტვენას ყური უგდო?

შავარდენა. მოგეცა ღვთის წყალობა, კარგი ხმა მაგას ჰქონდეს. ძალიან ყოროტი უნდა ჰქონდეს, რო ასე ატრიალებს ხმას! ა, როგორ იტყვი შენ, უჩარდია, აგი შენდა შენი ბანბა, შენ მასე იმღერო ახლა! არა, უჩარდია, შენ ის ანბავი უნდა გვითხრა, რო აპირებდი.

ხლახუნა. (იწყებს) აბა გამიგონე! თვარეს ხედავ?

შავარდენა. რატო არა!

ხლახუნა. შენ მეგრელო?

უჩარდია. ვერა ხედან რა, ბრუციანი ეორექოდა.

ხლახუნა. ბრუციანი ხარ, თუ ტრინწიანი, იმას ვინა ჰკითხავს, შე თხა პარია!

უჩარდია. ფორწყეტ მერე.

ხლახუნა. რას ანბობ ბიჭო, ვინ ჰკითხავს, არწყევ, თუ არა!

უჩარდია. ფორწყეტ მაქ ჰო!

შავარდენა. ფხედავთ ანბობს, ეაქო! რას ჩააციედი!

ხლახუნა. აი დაიქცა თქვენი უკულმართი ენა!... აბა რა არის თვარე.

შავარდენა. რა არის და თვარეა, მეტი რა იქნება.

ხლახუნა. ფიფ! თქვა და გაათავა. ეს მეც ვიცი, რო თვარეა. მარა მე ჰკითხავთ რისგან შედგება?

შავარდენა. რისგან შედგება რა ვიცი რა, თვარეზე კი არ ვყოფილვარ!

ხლახუნა. თვარეზე არც მე ვყოფილვარ, მარა კი ვიცი, იგი რაა.

შავარდენა. აბა ჩვენც გვითხარი და ის იქნება.

ხლახუნა. დიახ, ნეტავი დედაჩემს, თუ ასე მუქთათ დაგილაგეთ, რაც ვიცი.

უჩარდია. ამელამ თქვი, ჩემო ხლახუნა და მაგიერში ჭუმე (ხვალ) კვერცხენს დაგიდებთ.

ხლახუნა. (წამოხტება, წამოაყლებს ნუგუზალს ხელს და ესვრის) ა, თქვე საძაგლებო, თქვენა, თქვენი სამასხარო კიდო ვარ.

სი იქიდამ ერთბაშად ამოღება შეუძლებელია. ამის გამო მიწის-მოქმედება სამკვიდროდ ნაქმნარს ხარჯს ერთად ერთს დროს კი არ გვიბრუნებს ხოლმე, არამედ ცოტ-ცოტობით და თან-და-თან გვაწვდის, იმ დროის განმავალობაში, რაც მის მსველელობისათვის საჭიროა. მგ მსველელობა 30, 40, 50, წელს მოითხოვს ხოლმე. *)

აქედამ სჩანს, რომ მიწის-მოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესობისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მერე—თავნსა, რომელსაც მასზედ ეხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბამად, მაშასადამე კრედიტიც, რომელიც ამ თვისების წარმოებაზედ უნდა იყოს, მიქცეული, პირველი ხანგრძლივი უნდა იყოს, მეორე—ისეთი, რომ ცოტ-ცოტობით და თან-და-თან გადიხდებოდეს.

რაკი მიწის-სამოქმედო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა უყოს, მაშ ეგ კრედიტი კაცის პირადს ღირსებაზედ არ შეიძლება დამყარდეს, იმიტომ—რომ კაცი დღეს არის და ხვალ არ იქნება, არც იმისთანა ნიეთზედ, რომელსაც ხანგრძლივად გაძლება არ შეუძლიან უიმისოდ, რომ არ წახდეს და ფასი არ იკლოს. მაშ მიწის-მოქმედს რით შეუძლიან მოიპოვოს ნდობა, ურომლისოთაც კრედიტი შეუძლებელია? მარტო მიწით, რომელსაც იმისთანა თვისება აქვს, რომ რამდენათაც დიდხანსა ძევს, იმოდენად ფასს მატულობს ხალხის გამრავლებისა და საერთოდ ეკონომიურის წარმატებისა გამო.

მაშასადამე მიწის-სამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ხანგრძლივი იყოს, 2) ცოტ-ცოტობით და თან-და-თან გადასახადი და 3) მიწით დაიმედებული.

ნუ თუ უფ. ნიკოლაძე იტყვის, რომ ქუთაისის გუბერნია მიწის-მოქმედი გუბერნია არ არის? ნუ თუ იტყვის რომ მიწის მოქმედების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს მიწის სამოქმედო კრედიტი? ნუ თუ მიწის-სამოქმედო კრედიტი არ არის თავიდამ ბოლომდე გატარებული ქუთაისის წესდებაშია სრულის სიერცითა და თვისებითა.

რით იწუნებს იმ წესდებას უფ. ნიკოლაძე? პირველი მით, რომ იგი გადმოწერილია სხვა და სხვა წესდებიდამაო? და ამაზედ ისე ხანგრძლივ ლაპარაკობს, თითქოს ეს ამბავი მართლა და დიდი საბუთი იყოს წესდების დასაწუნებლად. მაშ ამას იქით უებარი წამალიც დაუწუნეთ ექიმს, რადგანაც წამალი უსათუოდ იმისაგან არ იქმნება მოგონებული, არამედ სხვისაგან ნასწავლი და მიღებული. თქვენ რა გინდათ საიდამ არის გადმოწერილი უსტავი? თქვენ ისა თქვით, ვარგა უსტავი, თუ არა. არ ვარგაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე. იმიტომ—არ ვარგაო, რომ ჯერ ქუთაისის გუბერნია გამოჯნული არ არის, ჯერ უძრაველ ქონებაზედ საკუთრების უფლება გარჩეული არ არისო და კუთვნილებაზედ კანონიერი საბუთი არა ვისა აქვსო. მაშასადამე ბანკიდამ ფულს თითქმის ჯერ ვერ ვინ გაიტანსო.

ამის გამო ჩვენში ყოველად შეუძლებელია აქციონერული ბანკის ხეირობაო ადგილ-მამულზედ ფულის გასასესხებლადაო.

ბანა მარტო აქციონერულის ბანკის თვისება არის, რომ დასაგირავებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო? მგ თვითონ მიწადმოქმედის კრედიტის არსებითი სუელია. ყოველს მიწის-მოქმედის კრედიტის ბანკს, აქციონერული იქმნება, თუ ერთმანეთის თავდებობითი, მაგ საგანზედ ერთნაირი წესი აქვს დადგინებული შეუცვლელად და მტკიცეთ. უმაგისობა შეუძლებელია და უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთი მიწის-მოქმედის კრედიტის ბანკი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება.

ეხლა ვკითხოთ უფ. ნიკოლაძეს თავისის სიტყვებითვე: რანაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომლისთვისაც ქუთაისის ბანკის წესდება დაიწერა? სრულს უფულობაში. მაშასადამე წესდებას რა უნდა ჰქონოდა სახეში? შულის შოვნა სასესხებლად. რა ეკონომიური საჭიროებაა უფრო ძლიერი ქუთაისის გუბერნიაში? მიწის მოქმედება არამც თუ ძლიერია, განსაკუთრებითია. იგი ისეთი საყოველთაოა და განსაკუთრებითი ეკონომიური წარმოებაა, რომლის წარმატებისათვისაც ქუთაისის გუბერნიას ფული ჰსჭირია. რომელი წესი ყველაზედ უფრო დააკმაყოფილებს ამ საჭიროებას? იგი წესი, რომელიც კრედიტს დაჰბადავს. რა გვარი უნდა იყოს იგი კრედიტი? იგი უნდა იყოს მიწის სამოქმედო (земесельскій) კრედიტი.

ნუ თუ უფ. ნიკოლაძე იტყვის, რომ ქუთაისის გუბერნია იმისთანა მხარე არ არის, საცა თითქმის მარტო ერთი ეკონომიური წარმოებაა, სახელდობრ—მიწის-მოქმედება? ნუ თუ იტყვის, რომ მიწის-მოქმედების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს მიწის-სამოქმედო კრედიტი? ნუ თუ მიწის-სამოქმედო კრედიტი არ არის თავიდამ ბოლომდი შეუცვლელად, შეუშლელად, სრულის სიერცითა და თვისებით გატარებული და დაცული ქუთაისის ბანკის წესდებაშია? თუ ამას არ იტყვის, არც ის უნდა ეთქვა, რომ ქუთაისის ბანკის წესდების დამწერსა, თუ შემადგენელსა ის მხარე და საჭიროება არ უცვნია, რომლისათვისაც ბანკის წესდებას ჰსწერდაო.

სხვა რით იწუნებს უფ. ნიკოლაძე ქუთაისის წესდებას? ჩავუდგეთ კვალში და თვითონ თვითონ საბუთი გავურჩიოთ.

ჯერ წუნს იმითი ჰსდებს, რომ იგი გადმოწერილია სხვა და სხვა წესდებიდამაო და ამაზედ ისე ხანგრძლივ ლაპარაკობს, თითქოს ეს ამბავი მართლადა დიდი საბუთი იყოს წესდების დასაწუნებლად. მაშ ამას იქით უებარი წამალიც დაუწუნეთ ექიმს, რადგანაც იგი წამალი უსათუოდ სხვისაგან იქნება მოგონილი და ხმარებული; როგორც სხვა და სხვა სახის ნაკვეთიდამ ერთს ცხოველს სურათს ვერ შეადგენო, ისე სხვა და სხვა წესდებიდამ ერთს რიგიანს წესდებასაო. ეს მაგალითი ისე არ უხდება იმ საგანს, რისთვისაც არის მოყვანილი, როგორც კამეჩს რახტი. მაშ დერეკს თქვენთვის შეკერილი სერთუკი დაუწუნეთ მარტო იმით რომ მაუდი ერთისაგან უყიდნია, სარჩული მეორესაგან, ძაფი მესამესაგან და სხვანი და უთხარით; რადგანაც სხვა და სხვა კაცის ნაკვეთიდამ ერთი ცხოველი სურათი ვერ შესდგება, ამიტომაც სხვა და სხვა ადგილას ნაყიდი, თუ ნაშოვნი მაუდი, სარჩული და ძაფი ერთს რიგიანს სერთუკს ვერ შეადგენდათქო.

ბესარიონ ლოლობერიძეს აუღიაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე ორი ერთმანეთის წინააღმდეგი ბანკი, ხერსონისა და ხარკოვისა და მათი საერთო კალაპოტზედ შეუდგენია წესდებაო. მგ მართალია, მაგრამ ის ბანკები ერთმანეთის წინააღმდეგი კი არ არიან, არამედ ერთს ფესვზედ დგანან და ერთის საგანისათვის და საგანითა სულდგმულობენ. ბანსხვაევება წინააღმდეგობა რაშია? იმაშია, რომ ერთს ბანკს გირაოდ მიღებული უძრავი ქონება აქვს თავნად, ძირის ფულად (основной капиталъ), მეორეს ნაღდი ფული. ერთი ბანკი თავის მოვალეებს უძღვება და პასუხს აძლევს განუყოფელად მთელის იმ მამულებიდამ, რომელიც გირაოდ აქვს მიღებული, მეორე—ჯერ მარტო იმ მოვალის მამულიდამ, რომელიც სესხის გადასახადის ფულს არ შემოიტანს და მერე თავისის ნაღდის ფულიდამ. თვით ოპერაცია, მოქმედება კი ორივეში ერთია. ორივე ბანკი

უ ჩ ა რ დ ი ა. (წამოხტება და მირბის) არიქა შავარდენა გეტრუნწი, ვარა დოპილუ გურუქ.

შ ე ვ ა რ დ ი ნ ა. (მირბის მეორე მხარეს და მისძახის უჩარდიას) ბრუწე მერგრელო, თვარა მოვიდა ნუგუზალი.

ხ ლ ა ზ უ ნ ა. (სვრის ნუგუზალს და ნაპერწლები ანათებენ არე მარეს.) მოგვხდომოდა ნახაედი შენ სეირს, რავა ფინჩხასავით გაგიხდიდა მაგ ქაჩლიან თავს.

უჩარდია და შავარდენა მოდიან ისევ ცეცხლთან და ურიგდებიან ხლახუნას.

შ ე ვ ა რ დ ე ნ ა. რა გული მოგვიდა, ვაჟო!... შენ მთვარეზე ანბობდი, მარა მზეზე კი ვერას იტყვი, უთუოდ.

ხ ლ ა ხ უ ნ ა. მზეზე ვითომ რატომ ვერ ვიტყვი: მზე სხვაა და მთვარე სხვაა.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ა. არა, ჭეშმარიტათ, ახირებულია ამ ქვეყანის საქმე!... აქამამდი მთვარე ანათებდა, ახლა ვარსკვლავები ცას ბჟირივით მოეყარა; ხვალ იგენიც დაიკარქებიან და მზე ამორგავს თავს. სიდგან ამოვა ე მზე, სად მიცოცავს, სად დაიარება; სწორი გითხრა, ძნელი გასაგებია?

ხ ლ ა ხ უ ნ ა. (ციცინის) მიცოცავს რავა რა, ლოკოკინა გონია თუ?.... შარშან ჩვენი ბატონი-შვილი ჩამოვიდა რუსეთიდან, ძალიან კი ანბობს მზეზე, კაცო, ამა სწავლული იგია—ე; მარა მამა მისი ძალიან კი უწყრება.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ა. რაზე ვითომ?

ხ ლ ა ხ უ ნ ა. რაზედა, წავიდა კაცო რუსეთში, იმდენს ხანს იქ იყო და არც ჩინი აქვს და არც ტემლაკი; მარა, აცოცხლოს ღმერთმა, გლეხი კაცი ძალიან უყვარს, ენაც, რომა თქვას კაცმა, ღმერთს იმისთვის მიუცია. რომ მოყვება, ისე დააწყობს, ისე დაალაგებს, როგორც დამზადებული ღომი ხონჩით სუფრაზე ჩამოაწყოს ვინმემ. ერთ ღამეს სიმიდის სარჩევათ ვიყავით კალოზე, სწორე ამისანა ღამე იყო?, მოვიდა კაცო და, თითქო ჩვენი ტოლი ყოფილიყოს, იმნაც სიმიდის რჩევა დაიწყო. მოყვა, მარა რა მოყვა! მთვარეზე ილაპარაკა, ვარსკვლავებზე, მარა მზეზე კი ძალიან ილაპარა.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ა. (მოუთმენელათ) რა არიო მზე?

ხ ლ ა ხ უ ნ ა. პაწა მაცა და გიანბობ!... მზეო პლუნიტა არისო! ქვეყანაზე სამი პლუნიტა არისო: პირველათ მიწაო, მეორეთ მთვარეო და მესამეთ მზე იქნებაო.

უ ჩ ა რ დ ი ა. ეი წართი!

ხ ლ ა ხ უ ნ ა. ამ სამ პლუნიტაში მიწა ბრუნავსო ჭ.ხრაკიევით და მზე კი დგასო. მართალია თუ არაო? ბეკითხა. ჩვენ დავალეთ ხარხა და მივაჩერდით.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ა. ცრუ ყოფილა ი უბედური!

ხ ლ ა ხ უ ნ ა. ჯერ პაწა მაცალე, რა გითხრა!... მიწა როგორ ბრუნავს, ახლავე გაჩვენებთო: მოკიდა შამფურს ხელი, შე ხარ ჩემი ბატონი და, გაარჭო კვახში. დაატრიალა ე ჩვენი კვახი ბორბალივით.

უ ჩ ა რ დ ი ა. ძვახს მეც დაატრიალებ პარტენი!

ხ ლ ა ხ უ ნ ა. არ მაცლი, შე გაქუცულო მეგრელო!.. ე შამფური მიწის ღერძიაო და ეს კვახი მიწა არისო.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ა. ეი დასწყევლოს ხახულისა ღვთის მშობელმა. აბა ჩემო, ხლახუნა, იმას ცოცხლა მოუმცრუებია!... მაგას რავა დევიჯერებ, მიწა ტრიალებდეს. მიწა რომ ტრიალებდეს მე და შენ ამ ცეცხლში გამოვიხრუკებოდით ე, ღადარო თავზე გადაგვეყრებოდა!... ვაი, შე უბედურო უჩარდია რავარ მალაყს იზამდი!

ხ ლ ა ხ უ ნ ა. ეს ჩვენც უთხარით, მარა იმან არ დაგვიჯერა. წარმოიდგინეთო ახლა ერთი პატარა წყალიო, ჩვენ სიცილით დავსქდით, წარმოიდგინეთ წყალი დიდ მიდორზეო, თუგინდ ნიგოეთის მიდორზეო. ნიგოეთის მინდორი ასეთია, რომ ეშმაკი ვერ გადაშპება ზედ. ახლა ეს მინდორი, რომ ნელა გავაქნიოთ წყალი გაიგებს, თუ არაო. ჩვენ უ-

თავისის გირაოს ფურცლებით თვით სესხულობენ ფულებს გასასესხებლად, ორივე ერთის და იგივე პრინციპზედ არის დამყარებული, სახელდობრ, მიწის-სამოქმედო კრედიტის შინა-არსზედ, ორივე ერთსა და იგივე მიზანს სდევენ, სახელდობრ, ფულს შოულობენ და ასესხებენ მიწის-მოქმედს და მიწას იღებენ გირაოდ, ორივ ერთსა და იგივე ანგარიშით მოქმედობენ და არსებობენ. ბანსხვაევება ამაებში კი არ არის მათ შორის, მარტო გარანტიის თვისებაშია: ერთის ბანკი საზოგადოებას ეუბნება: ჩემს გირაოს ფურცლებს, რომელიც ჩემი ვექილია, ენდე და ფულად გამინაღდე, იმიტომ-რომ თუ გირაოდ მიღებული მაგ ფულს არ ააყენებს, ჯერ თვითონ მამული გაგცემს პასუხს და მერმე ყველას მამული, ეისიც კი შემოტანილია ჩემთან გირაოდ. მეორე ბანკი ეუბნება: ჩემს გირაოს ფურცლებს მოენდე, და ფულად გამინაღდე, იმიტომ-რომ თუ გირაოდ მიღებული მამული მაგ ფულს ვერ ააყენებს, ჩემი ნაღდი ძირის ფული გაგცემს პასუხსა. ამიტომაც ჰსცდება უფ. ნიკოლაძე, როცა ამბობს, რომ „ერთი ბანკი დაფუძნებულია ურთიერთის ნდობაზედ და თავდებობაზედ და მეორე—სესხზედ და გირაოზე.“ არა, ბატონო, ორივე ბანკი დაფუძნებულია მიწის სამოქმედო კრედიტის შინაარსზედ. მხოლოდ გარანტია და საზოგადოების წინაშე სხვა და სხვა თვისებისა. ნუ თუ მართლა იტყვის უფ. ნიკოლაძე რომ ხერსონისა და ხარკოვის ბანკს შორის სესხის აღებმიცემობისა და გირაოდ მიღების თაობაზედ სხვა და სხვა წესი აქვს დადგინებული? ნუ თუ იტყვის, რომ ხერსონის ბანკი თვით არ სესხულობს, როგორც ხარკოვისა და ისე არ უძღვება ფულის მთხოვნელთა? ნუ თუ ხერსონის ბანკი, როგორც ხარკოვისა, გირაოდ მამულებს არ იღებს და ისე ასესხებს ფულებს. მაშ რა არის გირაოს ფურცლები, რომლის მეოხებითაც ერთი და მეორეც ფულსა შოულობენ გასასესხებლად? ნუ თუ ეგ სესხის აღება არ არის? მაშ რას ნიშნავს პირველი მუხლი ხერსონის ბანკის წესდებისა, რომელიც ამბობს: **земскій банкъ Херсонской губерніи учреждается для доставленія землевладѣльцамъ Херсонской губерніи средствъ къ полученію ссудъ, *подъ залогъ поземельной собственности.*** რას ნიშნავს ეს თუ არ სესხის მიცემას ბანკიდამ მარტო იმ უსათუო პირობით, თუ გირაოდ იქნება შემოტანილი მამული? ვითომ რა განსხვავებაა, რომ ხარკოვის ბანკის წესდება ამბობს: **Харьковскій земельный банкъ учреждается для выдачи ссудъ подъ залогъ недвижимой собственности** და სხვ? ნუ თუ ორივეში ერთი აზრი არ არის გამოთქმული? თუ არა ჰსჯერა უფ. ნიკოლაძეს, გადიკითხოს ორივეს წესდება და იქა ნახავს, რომ ერთი ბანკი და მეორეც სესხს აძლევენ გირაოს ფურცლებითა, რომ ორივე ერთნაირ საშუალობით უძღვებიან სესხის მთხოვნელთა, რომ ორივე ერთნაირის საშუალობით შოულობენ მსესხებელთათვის ფულსა, რომ ორივე ერთნაირად თხოულობენ გირაოდ მამულსა.

ჭუთაისის ბანკის წესდებას იწუნებს უფ. ნიკოლაძე მითაც, რომ ერთი მისი მუხლის საფუძველად საგირაო მამულის დაფასებისას მარტო მამულის შემოსაელის რაოდენობას ჰსდებსო და მერე მარტო ნიადაგს შემოსავლისაო. რა არის ამაში ცუდი და მოუნელებელი? მთელს ქვეყნიერობაზედ მიწისა და მამულის დაფასების საფუძვლად მიღებულია მისი შემოსაელის ღონიერება. ამ აზრით სჯის ხმარებული აქ მამულის შემოსავალი. ნუ თუ უფ. ნიკოლაძეს ჰგონია, რომ მამული რომელიც დღეს შემოსაეალს არ აძლევს, იმ მუხლის ძალით გირაოდ არ მიიღება? უსათუოდ ესე ჰგონია, რომ აჯამეთის ტყეს მაგალითი მოჰყავს. თუ ესე ჰგონია ჰსცდება. ბაშინჯოს დაფასების ინსტრუქციები, რომლითაც ეგ მუხლი ახსნილია და გაეითარებულია ხოლმე ყოველს ბანკში და მაშინ შეიტყობს, რომ შეიძლება მამულს დღეს შემოსავალი არა ჰქონდეს, მაგრამ ისეთის თვისებისა იყოს, რომ შეეძლოს შემოსაველის შემოტანა. მაშინ იგი შემოსავალი სხვა და სხვა საბუთების მიხედვით ეარაუდით ცნობაში უნდა იყოს მოყვანილი, და მას შემდეგ იგი გირაოდ მიიღება.

ჯერ ჭუთაისის გუბერნია გამიჯნული არ არისო, ჯერ ადგილ-მამულის კუთვნილებაზედ კანონიერი საბუთი არავისა აქვსო, ამის გამო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, ყოველად შეუძლებელიაო აქციონერულის ბანკის ხეირობაო ადგილ-მამულზედ ფულის გასასესხებლათაო. ბანა მარტო აქციონერულის ბანკის განსაკუთრებითი თვისებაა, რომ დასაგირაეებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო. ეგ თვითონ მიწის-სამოქმედო კრედიტის არსებითი სულია. ამისა გამო ყოველს ბანკს აქციონერული იქნება, თუ ურთიერთის თაედებობითი, მაგ საგანზედ ერთ ნაირი ცხადი წესი აქვს დადგინებული მტკიცედ და შეუცველელად. უმაგისობა შეუძლებელია, უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთი მიწის სამოქმედო კრედიტის ბანკი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება ჩვენის დალოცვილის პრიკაზის მეტი. დაარღვიეთ ეგ კანონი და ამასთანავე გამოეთხოვეთ თვით ბანკსაც და იმ იმედსაც რომელიც ბანკზედ არის დამყარებული. მიწის-სამოქმედო კრედიტსა სხვა დედა-ბოძი არა აქვს, თუ არ უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. ბამოაცალეთ ეგ ერთად ერთი დედა-ბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვითს ბანკსა. „შესაძლებელი იყოო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებია კაცსაო, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელწერილს მიჰსცემდაო, რომ ადგილი ნამდვილად ამ პირს ეკუთვნისო.“ არეიცი, უფ. ნიკოლაძე ამას მართლის გულით ამბობს, თუ საოხუჯოდ. თუ საოხუჯოდ,—უფ. ნიკოლაძემ უნდა იცოდეს, რომ საწამლავით ოხუჯობა საშიშარია. ნუ თუ მას არ გაუგია, რომ მოწმები და მეზობლები თავისის ეზოს მიწას ჩაიყრიდნენ წაღებში და საცა უნდა წაგეყვანათ, ჰფიცავდნენ, რომ ჩემს მიწაზედ ვდგეეარო. მეზობლებმა რომ ბანკი მოატყუონ, ვინ იქნება პატრონი? ერთი ეს მითხარით; მემამულის მოდავე და ხელის შემშლელი ვინ არის სხვა ჩვენში, თუ არ მეზობელიეე და სად თქმულა რომ მოდავემ თავის მოკამათეს და მექიშპეს მისცეს მოწმობა, რომ ჩვენ შორის სადაო მამული შენია და არა ჩემიო. თუნდ ეგეც არ იყოს, ნუთუ უფ. ნიკოლაძეს ჰგონია რომ მეზობელთაგან მოწმობის მიღება უფრო ადვილი და უხარჯო იქნება ჩვენში, ვიდრე კანონიერის საბუთის შოვნა. ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაგ მოწმობას, თუ რომ კანონი არ შეიწყნარებს, როცა მამულს მოდავე გამოუჩნდება. ეგ ხომ იმისთანა ბანკი იქნებოდა, რომელსა ავიღე და აღარ მოგცემ ჰქვიან.

უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ჭუთაისის ბანკსაო უნდა ჰქონოდა არა თუ მარტო დაგირაეებული მამულების ერთმანეთის გარანტია არამედ ბანკის დამაარსებლებისა ესე იგი, მთელის ჩვენის თაეად-აზნაურობის თაედებობაო. რადგანაც წესდებაში ეს არ არისო, ამის გამო სოფლის მამულის პატრონები, ვისაც მამულზედ მტკიცე საბუთი არა აქვსო, ბანკიდამ ფულის მიღებას ვერ მოესწრებიანო. ერთი მითხარით: მთელის ჩვენის თაეად-აზნაურობის თაუდებობა აქ რას უშველიდა? ბანა თვითონ თაეად-აზნაურობა კი დაუდგებოდა თაედებათ იმ პირს, რომელსაც კანონიერი საბუთი არა აქვს მამულზედა? ბანა

თხარით: „არაო“. ჰოეო, ბძანა, აბა თელ დედომიწასთან ჩვენც ისეთი ეართ, როგორც წყილი მიდორთანო. მიწის ტრიალს იმისთვისაც ვერ ვგებულობთო. აბა ამაზე რას იტყვი შენ? ცოდნია თუ არა!

შაეარდენა. ვეი, დიდება შენ ღმერთო, კუდიანი ყოფილა წყეული.

უჩარდია. მენცარი ჰოფე პარტენი. (ბულთა მხილველი ყოფილა).

შაეარდენა. ქარგა ულაპარაკნია; მაგრამ, როგორლაც, არა მჯერა, რომ მიწა ტრიალობდეს. ჭკუაში ძნელი მოსასვლელია! იქნება მზეზეც თქვა რამე?

ხლახუნა. მზეც პლუნიტა არისო; მარა მზეო ტრიალს არ კადრულობსო, ის დგას თავისთვის და მიწა ეევლება თაესო!

შაეარდენა. დიდება შენ, ღმერთო! უჩარდია შენ რას იტყვი?

უჩარდია. რას უყურენქ პარტენი მაგას, ეძინება და ბორდანს (ბოდავს) ე უბედური შვილი!

შაეარდენა. არა ხლახუნა, თუ ძმა ხარ, თავი დაანებე მაგ საოცარ ამბავს თვარა, გარდვირეეი ამღამ და მერე უყარე კაკალი ქოჩორას. საძაგელი ძილი ე

თეითონ თავად-აზნაურობა კი ანდობდა იმ მამულს ფულსა, რომლის საბუთი კანონისაგან შეუწყნარებელია. Oუნდ რომ ეგ თავდებობაც ყოფილიყო. განა თქვენს გირაო ფურცლებს განადიდებდა ვინმე, როცა თქვენის წესდებიდამ ეცოდინებოდა, რომ ბანკში გირაოდ შედის იმისთანა მამულიცა, რომელზედაც, თუ დავა ასტყდა, კანონს არ ეცოდინება ვისად აღიაროს?

ქუთაისის ბანკის წესდების შემდგენელს უნდა მოეხერხებინაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, რომ ბანკს უფლება ჰქონოდა მსწრაფლად გარდაეხდევინა ხვედრი ფულის მსესხებლისაგან, ვექსილის წესდების ზოგიერთის მიღებითაო. ღმერთმა უშველოს, რომ ქუთაისის ბანკის დამწერს ეგ ფიქრათაც არ მოსელია. რა სწრაფადაც ნაღდება ხოლმე ჩვენში ვექსილები, ეგეც ვიცით. ღმერთმა გვაშოროს მაგისთანა სასწრაფოსა. დეე, ისევ მაგ წესით Oსმალოს და Aვსტრიის ბანკებმა აწარმოვონ გადახდევინება. ჩვენთვის კი ისიც სამკოფია, რომ ჩვენს ბანკში ვალის გადასახადად იმისთანა დარბაისელი და აუჩქარებული არსებაა, როგორც ადგილ-მამული.

შემდეგ უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ბანკის წესდების შემადგენელის მიზანი იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეულიო, რომ ჩვენი მამულები ხელიდამ არ წაგვეიდესო და ჩვენვე დაგვრჩესო. როგორ? მამულს გირაოდ აძლევ ბანკსა და თუ პირობა არ შეუსრულე, გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო, რის გირაოლაა? განა ეგ შესაძლებელია? Oვით უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ თუმცა კარგი იქნებოდა, რომ საქმე ეგრე მოწყობილიყოო, მაგრამ ამასთანავე ატანს, თუ ეგ შეუძლებელია, ისე მაინც უნდა მოხერხებულიყოო საქმე, რომ გარემთიელებს არ შეესყიდად ჩვენი მამულებიო. ამისათვის ერთს სასაცილო ღონის-ძიებას გვირჩევს. Oმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას არღვევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციასა ჰსპობს. Aი ის ღონისძიება: „ვსთქვათო, ამბობს ნიკოლაძე, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი (ვისაც არა ჰყავს?) რომელთაც ეწყინებათ, რომ შემდეგში ჩემი მამული ვისმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს—(რომ არ ეწყინოს?), ვსთქვათ კიდეე, რომ ჩემი მამული მოსწონს და სახეიროდ მიაჩნია ჩემის სოფლის გლეხ-კაცობას და სხვ. (რომ არ მიაჩნდეთ?). Gანა შეუძლებელიაო, ამბობს შემდეგ უ. ნიკოლაძე ამგვარს სახლის-კაცებთან, მეზობლებთან და გლეხებთან ბანკი თავდაპირველადვე მორიგებაში შეიდეს დაფასების დროს და მტკიცე პირობა ჩამოართოს, რომ ვინიცობაა ჩემი მამული ბანკის ვალში გაიყიდოს, იმ ჩემმა მეზობელმა, სახლის კაცებმა და გლეხებმა ამა და ამ ფასად ის მამული აიღონ. (რომ იმ თქვენმა მეზობლებმა, სახლის-კაცებმა, ანუ გლეხ-კაცებმა ეგ არ ინდომონ, და გითხრან, ჩვენც არ ვიცით, ჩვენს მამულებს როგორ ეუპატრონოდ, თქვენი რაღად გვინდაო. რას იტყოდით მაშინ? რა გიშველიდათ? Gსთქვათ, რომ მოეცათ მაგისთანა პირობაცა და ბანკი გაბრიყვებულიყო და მიეღო ეგ პირობა, როცა მამულის გასყიდვის დრო მოვიდოდა და ისინი ყიდვას არ მოინდომებდნენ, რა კანონით დაატანდით ძალას, გინდა, თუ არა, იყიდეო. რა ღონე ექნებოდა იმათს ადრინდელს პირობასა.

Oუნდ ეგეც არ იყოს თეითონ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა აი ერთი ურიაოო, ის ერთი ორად მეტს იძლეეაო, მე არა ვარ თანახმაო რომ მაგაზედ ნაკლებ ჩემმა მეზობელმა ჩემი მამული იყიდოს, —რა ძალით, რა სამართლით, რა კანონით ხელ-ფეხს შეუკრავდით მამულის პატრონსა. Aნ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა: ჩემი მამული ვაჭრობაში ჩაადგეთ, მეტად და დიდ ფასად გაიყიდებაო. რა გზით შეუკრავდით მას ხელ-ფეხსა და ამაზედ უარს ეტყოდით. რა სამართლით წაართმევდით მას მის ქონებითს უფლებასა? მერე აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს რა პასუხს ეტყოდით. სხვები იყიდიან ჩვენს მამულებსაო. Gანა რითიმე შეიძლება წინადვე შეუშალოთ გზა ამ სამწუხარო მოვლენასა. Oუ კაი ფასს მოგცემენ და ამას სახეიროდ დაინახავთ, რა დააბრკოლებს მამულის თქვენის ხელიდამ სხვის ხელში გადასვლასა.

Mრთის სიტყვით უფ. ნიკოლაძის სტატიიდამ ჰსჩანს, რომ მის ფიქრით იმისთანა ბანკი უნდა ყოფილიყო ქუთაისის ბანკი რომ: 1) არც ერთს ქვეყნიერებაზედ ბანკსა არ ჰგვანებოდა და თუ ეგვანებოდა, მხოლოდ Oსმალოს და Aვსტრიის ბანკებსა. 2) მასშია გირაოს სახელი კი ყოფილიყო და სახრაეი კი არა; 3) საფუძვლად და ქვა-კუთხედათ ჰქონოდა ჩვენი ბამა-პაპის ძველი პრინციპი აეღე და აღარ მოგეცი; 4) მამულის პატრონს იმედი წართმეეოდა, რომ მისი მამული, რაც უნდა მეტად ღირდეს, იმაზედ მეტად არ უნდა გაიყიდოს, რასაც მეზობლები ერთხელ და ერთხელ მიჰსცემენ, 5) ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელ-ფეხ შეკრული იყოს და შეეიწროებული.

Mსენი გსურდათ, რომ ყოფილიყო ქუთაისის ბანკის წესდებაში?

Dიდად და დიდად ეწუხვარ, რომ მაგისთანა აზრებსა ჰფენს და ჰქადაგობს იმისთანა ჭკვიანი კაცი, როგორც უფ. ნიკოლაძე, რომლის სახელიც ბევრს წაიტყუებს და ეგ წატყუება ფეხს შეუშლის არამც თუ მარტო ქუთაისის ბანკსა, არამედ ტფილისისაცა.

დასკვნა.

Mე რომ უფ. ნიკოლაძის ადგილს ვყოფილვიყავ, ხელს მოვიჭრიდი და იმისთანა სტატიას კი არ დავსწერდი, რომელიც უმეცრებასა და უვიცობას საღერღელს უსხნის და ფრთას ასხამს.

Iი. ჭავჭავაძე

GANCHADEBANI

Oფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ 1 ივნისს 1876 წ. 12 საათიდამ 2 საათამდი თვით ბანკის სამმართველოში, Oფილისში, ისყიდება Aნნა Iაგორის ასულის Aვეტისოვის უძრავი მამული, რომელიც Oფილისის ბანკშია დაგირავებული,— დადგინებათა მებრ წესდების §§ 29 და 30.

Oს მამული-მდებარეობს Oფილისის უეზდში სართაჭალის უჩასტკაში და შეიცავს სათიბ ალაგს 265 დესიატინას და 2235 ოთხ-კუთს საჟენს.

Aღნიშნული მამული გაიყიდება ერცლად-ერთიანად და ვაჭრობა დაიწყება თანხმად წესდების § 19-სა იმ სუმმიდამ, რომელიც მაზედ ძევს გადასახდელად. Oს არის 12,995 მ., რომელიც შეიცავს: ვალს ბანკისას, ვადით გატანილს, ხარჯს, მოთხოვნილებისა მებრ მამულისა, გაყიდვისათვის. Aმასთანავე პატივი აქვს ბანკს განაცხადოს, რომ ნომინალური (ნამდვილი) ვალი, ბანკში შემოსატანი დამგირავებელზე, რომელიც შეიცავს 12,468 მ. და 24 კ., შეიძლება გარდაიხადოს ამავე ბანკისა გირაოს ფურცლების შემოტანით მანეთით მანეთზე მათის ნომინალური ღირებისა მებრ და კიდეე ეს ვალი შეიძლება გარდიტანოს ბანკის თანხმობით მყიდველზედ, თუ ეს უკანასკნელი დაკმაყოფილებს ბანკს დანაშთენ გადასახადით სრულიად ნაღდის ფულით.

Oუ გაყიდვა არ მოხდა 1 ივნისს 1876 წ. წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1876 14 ივნისისათვის.

(3—3)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Oსეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Kანს ეკერება და არა სჩანს.

Ш. Фаи — Гамомгонн.

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუ'კდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—27

Dაიბეჭდა „ექიმბაში“ — კომედია მეღვინეთხუცესოვისა და ისყიდება ალანდაძის წიგნების მაღაზიაში. 3—3

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Oფილისი .	9	36	4	54				
Mცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
Gორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
Bეკათუბანი	—	—			4	42	2	46
Vვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
Aხ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Fოთი. . .	11	44			9	75	5	42
Fოთი . .	8	40						
Aხ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	41	1	69
Vვირილა. .	—	—			3	98	2	21
Bეკათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
Gორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
Mცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Oფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

CEცხლის გემები

ა) Fოთიდამ:

Oდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

Fოთს — ოთხშაბათს, დილით.

Oდესას — ოთხშ. ბათს, შუადღეზე.

Fოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
Tაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Oდესსამდი.	38	„	30	„	9	60

Tელეგრაფი

	მ.	კაპ
Oცი სიტყვა Oფილისიდამ:		
ქუთაისს, Fოთს . .	1	—
Gორს, Dუშეთს, სიღნახს		50
Rოსტოვს Oდესას Mოსკოვს	2	—
Pეტერბურგს, Vარშავას . .	2	—
Oსმალეთში, Შვეიცარიაში	3	—
Iტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Iინგლისში.	3	75

Fოსტა

ა) Oფილისიდამ:

Sამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., Oზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

Oფილისისა და Fოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Oზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) Gორიდამ.

Yოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) Fოთიდამ:

Yოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
Lია წიგნის	4
Dაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

Gირჭა

Pეტერბურგი, 9 აპრილს

Eრთი მანეთი ლირს:		
Lონდონში 32 პენსი.	—	84
Pარიჟში 334 სანტიმი.	—	89
Eსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
Bანკის ბილეთი 5%	100	25
Mოგებიანი (პირველისესხი)	226	—
Mოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
Gირაოს ფურცლები:		
Oფილ. საზნ. ბანკისა.	94	--
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
Mოსკოვის (5%). . . .	86	75
Aქციები:		
Oდესის სავაჭრო ბანკის	172	—
Fოთი-Oფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
Kავკაზის და Mერკურის. .	168	—
Pირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
Pეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
Mოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

Mაზანდა

	მან.	კაპ
Oფილისი, 13 აპრილს		
Pური შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი. . . .	—	55
Bამბა Eრევნისა, ფუთი .	5	50
— Aმერიკისა, ფუთი. .	6	30
Bაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
Mატყლი თუშური ფთ .	7	50
— Oარაქამისა ფთ. .	7	50
Aბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
Yავა გრგვალი ფუთი .	22	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
Oქრო ½ იმპერიალი. .	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1876 г. Типографія Меликова и К°. Gამომცემელი ს. Mელიქიშვილი რედაქტორი ს. Mესხი.